სამშობლო

კვირა
11 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გ[illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 196 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 196

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

1915 წ.
ოკტომბერი
11
კვირა.

წარმოდგენა № 7.
„ქართული დრამა“.
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
გაუდეამუს.
4 მოქმედებ.
ანდრეევი—მთარგმნელი შალვა დადიანი.
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი შალვა დადიანი.
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 1—1

ანონსი:
მზადდება
ბერნშტეინის—„ურიის სისხლი“,
„სამშობლოს სადიდებლათ“.

გაიხსნა 15 ენკენისთვიდან საკანდიტრო
„რეიმსი“ და „გრანდ-კაფე“
ქუთაისში, გიმნაზიისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში, ქართული თეატრის გვერდით. 8—9

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ქ. ქუთაისში ექიმი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა
სერაფიონ მ. დადუნაშვილი
ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი ბ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 11 ოკტომბრიდან ახალი ფართო პროგრამა მხოლოდ სამი დღით.
სენსაცია სეზონისა!
მოცეკვავე შავ ტავერნაში.
სენსაციური დრამა 6 ნაწ. იტალიელ გამოჩენილ ლამაზ მსახიობ ქალის ფრანჩესკა ბერტინის მონაწილეობით.
1 ნაწ. კლუბი შავებისა; 2 ნაწ. შეცდენა; 3 ნაწ. პლანის გაჯგბა; 4 ნაწ. ახალი ცხოვრება; 5 ნაწ. მრისხანე ბედი; 7 ნაწ. სამაგიეროს გადახდა.
ბოქსი რუსულათ. ძლიერი კომიკური სურათი.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 14 ოკტ. ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი ნორდისკისა ჯაჭვი ტანჯვისა და მწუხარებისა. მხატვრული. დრამა თანამედროვე სამხედრო ცხოვრებიდან 5 ნაწ. ვოლდემარ გარისონის მონაწილეობით.

„სინათლის“ საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდე.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საშუალო სასწავლებლის უფროს კლასებისთვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, ჭარმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

კბილის ექიმი რ. ა. სვანაძე-ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ვამზადებ უმაღლესა პირველ-დაწყებით სასწავლებლის 3—4 კლასისათვის, მეორე ხარისხის ვოლნოოპრედელიაუშჩის მოწმობისა და ჩინის მისაღებათ. ვარდგენ მოსწავლეთა ჯგუფს.
ნ. პ. გლოცოვი.
ძველი თფილისის ქ., მეორე უმაღლეს სასწავლებელში. 6—1.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პეტროგრადი. 8 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. გუშინ ჩვენმა ჯარმა ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, ფიცხელი იერიშის შემდეგ, დაიპყრო გერმანელების სანგრები სოფ. ეკიმოვიჩისა, ალხოვშჩინასა, ნოვიკისა და ნავორნაის მახლობლად. ამასთანავე დღის განმავლობაში ჩვენ დავატყვევეთ 85 გერმანელი და ავსტრიელი აფიცერი და 3552 ჯარისკაცი. ხელთ იგდეს ერთი ზარბაზანი და 10 ტყვიისმტყორცნელი.

პეტროგრადი. 8 ოქტომბერი. ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში მდ. ქვედა აას პირზე სროლაა. სოფ. ოლაის აღმოსავლეთით გერმანელების შემოტევა მიტავას გზატკეცილით მოგერიებულ იქნა. ოლაის აღმოსავლეთით პირზე განუწყვეტელი სროლაა ზარბაზნებისა. მიტავას განაპირა უბანში ჩვენმა „ილია მურომეცმა“ რამდენიმე ათეული ყუმბარა ჩააგდეს; სარწმუნო წყაროების ცნობით, მათ გაანადგურეს რკინის გზის შენობები და საწყობები. ოლაის რაიონში ჩვენმა ჯარმა გერმანელების ჰაეროპლანი ჩამოაგდო. მფრინავები დაილუპნენ. ოლაის აღმოსავლეთით, სოფ. პლაჟენენის რაიონში, გერმანელებმა ნისლით ისარგებლეს და ოთხჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. ფრიდრიხშტატისა და იაკობშტატის რაიონში და დვინის რაიონის პირზე შესამჩნევი არაფერი მომხდარა. დაბა პოსტოვის ჩრდილოეთით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, გერმანელები სოფ. რუსაკოდან განდევნილ იქნენ, ხელთ ვიგდეთ 270 ტყვე ჯარის-კაცი, ერთი აფიცრით. გერმანელებისა და ავსტრიელების სანგრების დაპყრობის დროს ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში გამოირკვა, რომ მტერი ემზადებოდა ჩვენსკენ მოსაწამლავი გაზების ხმარებას; ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ასეთი გაზებით სავსე ჭურჭლები. პრიპიატის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიპყრო მთელი რიგი სოფლებისა მდ. სტირის მარცხენა ნაპირას, რაფალოვკის ქვემოდ. სოფ. კომაროვოს დაპყრობის დროს ჩვენ დავატყვევეთ 400-ზე მეტი ჯარის კაცი და ხელ ვიგდეთ 2 ტყვიისმტყორცნელი. დ. კოლკის რაიონში გერმანელების კონტრ-იერიში მოგერიებულ იქნა და გერმანელები დიდათ დაზარალდენ. სოფ. ჩერნიშის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში, დაბა კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით ცხარე ბრძოლებია, ავსტრიელები და გერმანელები მდ. სტირის ნაპირებზე ბრძოლის დროს მხოლოდ დუმ-დუმის ტყვიებსა ხმარობენ.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის პირის რაიონში ხოფას სამხრეთ-აღმოსავლეთით და ტორტუმის ტბასთან მოწინავე რაზმების ხშირი შეტაკებაა. არჯიშთან (ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის კიდე) ქურთებთან შეტაკება მოგვივიდა. დანარჩენ პირზე ცვლილება არ მომხდარა.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რიგის რაიონში ოპერაცია თან და თან სერიოზულ ხასიათს ღებულობს. მთავარი შეტაკება მიტავა-რიგის გზატკეცილის აღმოსავლეთით ხდება. არტილერიის სროლა განუწყვეტლივ სწარმოებს. ეს ნიშნებია, რომ გერმანელები რიგის წინააღმდეგ ენერგიულად მოქმედებენ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბალტიის ზღვაში შესავალის საზღვაო გზები გერმანელებმა ბოლო დროს ხელახლად ნაღმებით მოჰფინეს, უნდა აღვიაროთ, რომ რიგის საწინააღმდეგო ოპერაცია მარტო დემონსტრაცია არ არის. მდ. დვინას ხაზი გერმანელებისათვის მეტად საჭიროა და რადგანაც დვინსკის რაიონში საქმე გაჭიანურდა, ეხლა გერმანელები რიგის აღებით ცდილობენ ამ ხაზის ჩრდილოეთით შემოვლას. ამავე დროს დვინსკის რაიონითაც მოქმედებას კვლავინდელ სიმკაცრით აწარმოებენ. ცნობა იყო, რომ დვინსკისკენ მათ კიდევ მოაქვთ მძიმე ზარბაზნები. გარდა ამისა მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ რუსის ჯარი მდ. დვინის მარცხენა ნაპირზე მეტად ვიწროდ არის და თვით ეს ნაპირი ტყეებით და ჭაობებით არის მოფენილი და ამიტომ ზღუდავს მოქმედებას, წინსვლას და ჯარის გადაყვან-გადმოყვანას აფერხებს. ამიტომ შესაძლებელია, რომ რუსის ჯარმა მდ. მარჯვენა ჭნაპირი ირჩიოს. ამ შემთხვევაში მოპირდაპირეს წინ გადაეღობება დიდი მდინარე, რომლის გადალახვაც არც ისე ადვილი საქმე იქნება. დვინსკის სამხრეთით, ტბებით მოფენილი რაიონი გერმანელებს მეტად გაუმაგრებიათ, ასე რომ აქ ბრძოლამ უფრო პოზიციონური ხასიათი მიიღო და აქ დიდი რამ ცვლილება მოსალოდნელი არ არის. არ შეცვლილა მდგომარეობა აგრეთვე ცენტრში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გუშინდელ დეპეშის ცნობას, ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონის შესახებ. აქ რუსის ჯარს რამდენიმე სოფელი აუღია. ეს სოფლები თითქმის წინანდელ ბრძოლის პირზე მდებარეობენ. მაგრამ, რადგანაც აქ საკმაოდ დიდი რიცხვი ტყვეებისა წამოუყვანიათ, უნდა ვიფიქროთ-რომ რუსის ჯარი აქ მოულოდნელად დასცემია გერმანელების ჯარს. რა თქმა უნდა ასეთი შემთხვევა უკვე მოწმობს, რომ დიდი ხნით გაჩერებამ ცენტრში გერმანელების ჯარს ხალისი მოუკლო და გული აუცრუა.

მკაცრი ბრძოლაა, დეპეშის სიტყვით, კოლკის რაიონში, ე. ი. სარნის მიმართულებით.

სერბიიდან ცნობები არ მოსულა. დასავლეთის ასპარეზით ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში მკაცრი შეტაკებანი ხდება. როგორც ბოლო დროს ირკვევა ინიციატივა კვლავ გერმანელებს უპყრიათ ხელთ. ასე რომ ამას წინად ატეხილი ლაპარაკი, ვითომ და მოკავშირეთა საერთო შეტევის დაწყების შესახებ, ნაადრევი აღმოჩნდა.

დარდანელში ხომ მოქმედება სრულებით მიყუჩდა, ალბად ეს პირდაპირი გავლენაა ბალკანეთში მომხდარ ამბებისა.

„სახ- ფურ“.

გერმანიის გენერლები სერბიის ფრონტზე.

გერმანიის მთავარი ბინის ოფიციალური ცნობით, გენ. მაკენზენი ამ ჟამათ სერბიის ფრონტზე იმყოფება. მაკენზენი მთავარსარდალია შეერთებული ჯარისა: ავსტრო-უნგრეთისა ღ გერმანეთის. პირველის ხელმძღვანელათ დანიშნულია ფონ კევესი, რომელიც მაკენზენის უფროსობით ხელმძღვანელობდა საკუთარ არმიას აღმოსავლეთის ფრონტზე; მეორის ხელ-

მძღვანელით დანიშნულია ფონ გალვიცი, რომელიც ხელმძღვანელობს გერმანეთის ჯარს ნარეჩის რაიონში, გინდენბურგის უფროსობით. ბელგრადში შევიდა ფონ კევესის ჯარი. სემენდრის რაიონში მოქმედებს გენ. ფონგალვიცის არმია.

„ტრიბუნე დე ჟენევ-"ს სერბიიდან ატყობინებენ, რომ სერბიელებმა დრინის რაიონში მაშველი ჯარის დახმარებით გერმანელთა იერიშები მოიგერიეს და დიდი ზარალიც მიაყენეს მტერს. შაბაცის ახლოს სერბიელებმა გაანადგურეს გერმანელების ბრიგადები და ტყვეთ წამოიყვანეს 1600 კაცი.

——

ფრანგულ გაზეთების ცნობით საფრანგეთის ჯარის გადასხმა სალონიკში შეუჩერებლივ გრძელდება. ინგლისის ჯარის გადასხმაც ასევე მიმდინარეობს.

——

გერმანულ გაზეთების ცნობით, რუმინეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც რუმინეთი ნეიტრალიტეტს დაიცავს.

——

ბერლინიდან სტოკჰოლმს დეპეშით ატყობინებენ, რომ გერმანეთის ცეპელინები თავის უკანასკნელ თავდასხმის დროს ინგლისზე მშვიდობით დაბრუნდნენ, მიუხედავათ იმისა, რომ ჰოლანდიის ტერიტორიაზე გადაფრენის დროს ჰოლანდიელებმა ენერგიულათ დაუშინეს ზარბაზნებით.

——

* ბუქარესტიდან ოდესით იტყობინებიან, რომ უარყოფენ ხმას პრახოვის ევაკუაციის შესახებ სერბიელებისაგან. მართალია, მიმოსვლა პრახოვსა და ზაიჩარს შუა შეწყვეტილია, მაგრამ მიმოსვლა ავტომობილებით მაინც სწარმოებს.

იქიდანვე იტყობინებიან, რომ ათინიდან მოსული ცნობებით, ბულგარეთ-საბერძნეთ-ოსმალეთ შორის მოლაპარაკება კვლავ გრძელდება შეთანხმების მიზნით. თუ უკეთუ საბერძნეთი ომში არ ჩაერევა, ბულგარეთი მზათაა დაუთმოს მას აღმოსავლეთ მაკედონია და მონასტირ-გევგელიორიანის ხაზი. ოსმალეთი კი მზათაა აღიაროს საბერძნეთის უფლება, შემოერთებულ კუნძულებზე.

——

ბუქარესტიდან ადესით იტყობინებიან, რომ კალაფატიდან მოსული ცნობებით, ვიდინის მცხოვრებლებს გამოუცხადეს, რომ პირველ თოფის გასროლისათანავე ვიდინის ევაკუაცია მოხდებაო. ვიდინი ბულგარლებმა პირველხარისხოვან ციხე-სიმაგრეთ გადააქციეს, რადგანაც მოელიან სერბიელების მხრით ამ ქალაქზე იერიშის მოტანას. ბულგარეთის ბრბომ ააფეთქა ხიდი დომირკანის მიდამოებში, სალონიკ—უსკიუბის ხაზზე.

სერბია-ბულგარეთის ომი.

„ფორვერტსის" სამხედრო მიმომხილველი პოლკოვნიკი გედკე თავის წერილში: „უაღრესი მომენტი ომისა" კვლავ უფრთხილებს თავის თანამემამულეებს, არ მიეცენ იმედებს ბალკანეთში სამხედრო მოქმედების გავრთარების გამო. ავსტრო-გერმანეთის ჯარის გადასვლა მდ. სავასა და დუნაიზე ხელი შეუწყო გერმანეთის არტილერიისა და ტეხნიკურ საშუალებათა უპირატესობამ,—სწერს გედკე. სერბიის ფრონტზე ბრძოლის მდგომარეობის გასათვალისწინებლათ მხედველობაში უნდა მივიღოთ სერბიის ჯარის შეურყეველი მამაცობა და რკინის სიმტკიცე. ძლიერ წინააღმდეგობას უნდა მოველოდეთ მათგან სერბიის შუა გულში, სადაც ავსტრო-უნგრეთის წინსვლას ხელს შეუშლის ადგილობრივი პირობები. იმ ბრძოლის ველზე, სადაც ასეთი ტოპოგრაფიული განსხვავებაა, მრავალრიცხოვანი ჯგუფებით სამხედრო მოქმედების წარმოება შეუძლებელია. ამავე დროს გედკე გულახდილათ აღიარებს მოკავშირეთა შეთანხმებულ მოქმედებას დასავლეთ აღმოსავლეთის ფრონტებზე, რომლითაც მოკავშირეებმა არა თუ დაიბრუნეს წართმეული ტერიტორია, საერთო იერიშების წარმოების გამო იძულებული ყვეს გერმანელები თავდასაცავ პოზიციაზე გადასულიყვნენ.

სერბიელების იმედი.

ათინაში მყოფმა სერბიის ელჩმა ბალუგჩიჩმა ბირჟ. ვედომოსტის კორესპონდენტთან საუბრის დროს, განაცხადა, რომ სერბიას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი საბერძნეთის გამოსვლისა ოთხთა შეთანხმების სასარგებლოთ. ჩემთვის საეჭვო არაა, ამბობს ელჩი, რომ საბერძნეთი ადრე თუ გვიან არ დაადგება იმ გზას, რომელიც მის რეალურ ინტერესებს შეეფერება. საბერძნეთის განმარტებამ ხელშეკრულობის შესახებ ნიშში სასოწარკვეთილება გამოიწვია, მაგრამ ბერძნები, უეჭველია, შეიცვლიან თავის პოზიციას, რადგანაც მათ კარგათ უნდა შეიგნონ, რომ საბერძნეთ—სერბიის ბედი ერთმანეთთან მჭიდროთ დაკავშირებულია.

სახრჩობელა ან მთავრობის მორჩილება.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ გერმანოფილურ წრეებში ბულგარეთის მობილიზაციას შემდეგ ნაირათ ხსნიან. პირველ ყოვლისა ბულგარეთმა მობილიზაცია გამოაცხადა მხოლოდ მაშინ, როცა შავ ზღვაში გერმანეთის წყალქვეშა ნავები გაჩნდნენ, რომელნიც უზრუნველ ყოფდენ ბულგარეთის სანაპიროებს რუსეთის ფლოტის თავდასხმისაგან. მობილიზაციის მოხდენით, ბალკანეთის სახელმწიფონი გააფრთხილეს არ ჩარეოდენ სერბიის დახმარების საქმეში და ამგვარათ საშუალება მიეცათ გერმანელებისათვის სერბიის გასანადგურებლათ. გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ბულგარეთი სერბიას თავს დაესხა ომის გამოუცხადებლათ, ზარბაზნები დაუშინა სამხედრო მატარებელს, რომელიც პრახოვიდან ზაიჩარისკენ მიდიოდა. გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ ბულგარეთმა რუმინეთის საზღვარზე მხოლოდ ერთი დივიზია დასტოვა, რადგანაც რუმინეთის მხრით შიში არ მოელის.

ბულგარეთის გამოსვლისათანავე დაიწყო მინისტრთა საბჭოს კრებებიც. იტყობინებიან, რომ რადოსლავოვმა გენადიევი მიიწვია და ასეთი წინადადება მისცა: სახრჩობელასა და არსებულ რეჟიმს შორის ერთ ერთი ამოირჩიო.

მიიღებს თუ არა იტალია მონაწილეობას ბალკანეთის ომში.

მიუხედავათ „ჟურნალ დიტალიის" მტკიცებისა, რომ იტალია ბალკანეთის ომში არ ჩაერევაო, ლონდონის პოლიტიკურ წრეები გადმოგვცემენ, რომ ეს საკითხი იტალიის მთავრობას ჯერ კიდევ საბოლოოთ გამორკვეული არ აქვსო.

ცეპელინებზე დაშინა.

„დეილ ტელეგრაფს" როტერდამიდან ატყობინებენ გერმანელების მიერ ოლანდიის ნეიტრალიტეტის დარღვევას. 3 ოკტომბერს დილით ნისპენის მიდამოების თავზე გერმანეთის ორმა ცეპელინმა გადაიფრინა. მესამე ცეპელინი, რომელიც სამხრეთ დასავლეთიდან მოფრინავდა გამოჩნდა ოლანდიის საზღვაო ბაზის მოლდერის თავზე და შემდეგ დიდხანს დატრიალებდა თავს ოლანდიის კუნძულს ფილიანდს. ოლანდიის სადარაჯო რაზმმა ენერგიული სროლა აუტეხა ცეპელინებს.

რათ არ გამოდის საბერძნეთი?

„დენი" ეხება იმ ფაქტს, თუ რათ არ გამოდის საბერძნეთი შეთანხმების სახელმწიფოთა მხარეზე. გაზეთი სწერს: „გაურკვეველი მოქმედება საბერძნეთისა ჩვენში ახსნეს საბერძნეთ-გერმანიის დინასტიური ნათესაობით. გამოდის, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში პირველი ადგილი უჭირავს იმ გარემოებას, თუ ვინ ვისი და ან ძმაა. ჩვენ კი ვფიქრობთ, დინასტიურ ინტერესებს აქ უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რასაც მოწმობს ისიც, რომ საბერძნეთის დინასტია არც ისე ძლიერია. გერმანია-საბერძნეთის დაახლოვების მიზეზები უფრო სხვაგან უნდა ვეძებოთ. აშკარაა, რომ მეფე ხალხის სულის კვეთებასაც უწევს ანგარიშს და შეიძლება აქედან გამომდინარეობდეს ეს გერმანოფილური პოლიტიკა. უნდა ვიფიქროთ, რომ გაურკვეველ მდგომარეობაში ჩადგომის მიზეზები საბერძნეთ-იტალიის ანტაგონიზმში მარხია. უკანასკნელ ხანებში, იტალიის მიერ ტრიპოლიტანიის დაპყრობის შემდეგ, ცოტა არ დაწერილა მისი მოთხოვნილებათა შესახებ ახლო აღმოსავლეთში. ოთხთა შეთანხმების გამარჯვებას ამა თუ იმ ფორმით უთუოთ უნდა მოყვეს მცირე აზიის დანაწილება. აშკარაა, რომ აქ იტალია უთუოთ თავის წვლილს მოითხოვს. ჩვენ გვახსოვს მის მოთხოვნილებანი, როგორც მაგალითად ადალიის და სხვა. იტალია უთუოთ უნდა შეეჯახოს ამ კითხვაში საბერძნეთს, რადგანაც ეს უკანასკნელი დაინტერესებულია მცირე აზიის სანაპირო ქალაქებით, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობას ბერძნები შეადგენენ. უთანხმოებას უფრო ზრდის მეტათ მომწიფებული კითხვა დოდეკანეზის და როდოსის კუნძულების შესახებ. საბერძნეთს უთანხმოება მოუხდება იტალიასთან თვით სამხრეთ ალბანიაშიც.

აშკარაა, რომ ეს უთანხმოება უფრო ახასიათებს საბერძნეთის პოლიტიკას, ვიდრე წმიდა დინასტიური მოტივები. აი, ამ მხრით უნდა დააკმაყოფილოს ოთხთა შეთანხმებამ საბერძნეთი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იმედების გაღვიძება მის გამოსვლაზე. რომ ეს ასეა, ამას მოწმობს იტალიის მუქარაც და ბალკანეთის ომში თავისი „წვლილის" შეტანა; ამით ის თავის განზრახვების ასრულებას მოელის.

ჰოლც ფაშა და რუსის ლაშქარი.

რუმინულ გაზეთებში სწერენ, რომ ფონ-დერ-გოლცი 200 ჯარის კაცით ადრიანოპოლიდან გამოვიდა. ამ ჯარმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს რუსის დესანტს ბულგარეთის ნაპირებზე. ოსმალეთს ხელშეკრულებაში აღუთქვამს ეს დახმარება ბულგარეთისთვის. ფერდინანდს თურმე ეშინიან თავისი საკუთარი ჯარი შეახვედროს რუსის ლაშქარს.

სამხედრო მოქმედება.

ბერლინიდან ცნობაა, რომ ბულგარელები თავის ჯარს აგროვებენ კნიაჟევაცასთან და განზრახვა აქვთ პიროტი დაიპყრან.

„ეხო დე პარი"-ს ცნობით, სერბიის საზღვარზე აღმოჩენილა [illegible], რომელსაც გერმანელი ოფიცრები ხელმძღვანელობენ.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ გერმანელი ინჟინრები, ოფიცრები და ავიატორები განაგრძობენ გადაცმული ტანისამოსით მოსვლას. ესენი რუმინიის გზით მოდიან, როგორც კერძო პირები. ბულგარეთში მისვლისათანავე სამხედრო ტანისამოსში ეწყობიან.

შავ ზღვაზე.

სოფიიდან მოსული ცნობებით, ეგეისა და შავი-ზღვის ბულგარეთის სანაპიროები დანაღმულია, მაიაკები ჩაქრობილია.

ვარნასთან.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ვარნას გარშემო მაღლობებზე ბულგარელებმა სხვილი კალიბრის ზარბაზნები დასდგეს. ზოგიერთი ამ ზარბაზნებისა ადრიანოპოლიდან მოუტანიათ.

არკვევს რა ბალკანეთის მდგომარეობას სამხედრო მოქმედების მხრით, ბელონი სწერს:

ეს უკანასკნელი საშუალებაა მტრისა მდგომარეობა თავის სასარგებლოთ შესცვალოს. გერმანელები ესწრაფვიან პოლიტიკური მიზნის განხორციელებას. კონსტანტინოპოლში გერმანელთა ჯარის ყოფნა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს მთელს მუსულმანთა ქვეყნებზე მცირე აზიაში და გერმანელების განზრახვაა ამ გზით შეავსონ თავისი ჯარი მუსულმანთა ჯარისკაცებით. ბულგარეთის დაუხმარებლათ, რასაკვირველია, მოპირდაპირე ასეთ ნაბიჯს არ გადასდგამდა, მაგრამ ბულგარეთისათვის კი ეს სასარგებლო არ იქნება. გერმანელებისათვის ბულგარეთი საჭიროა იმდენათ, რამდენათაც მას კონსტანტინოპოლის გასაღები ხელში უპყრავს.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რუსეთი.

სათათბიროს მოწვევის გარშემო.

დღევანდლამდი სათათბიროს მოწვევის საკითხი გადაწყვეტილი არაა. როგორც გადმოგვცემენ ეს საკითხი ამ დღეებში განიხილეს. განხილვის დროს ყურადღება მიაქციეს 3 სეკტემბრის თარიღით გამოცემულ ბრძანების ტექსტს სათათბიროს დათხოვნისა, სადაც ნათქვამია, რომ სათათბიროს მოწვევა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 1 ნოემბრისა. ამიტომ ეს საკითხი გადასდვეს და მის განხილვას შეუდგებიან ოქტომბრის გასულს. ყოველ

მარტოობა.

(ესკიზი)

ვუძღვენი შიო მღვიმელს.

„ძნელი არის მარტოობა სულისა"...

თქვენ იცით, რა არის მარტოობა? ისეთი მარტოობა კი არა, როდესაც გათავისწინებული ზიხარ დაბურულ ტყეში, ხავსით შემოსილ წიფლის ქვეშ და სმენა მახვილად გატაცებით ყურს უგდებ ტყის საიდუმლო ბუზუნს; როდესაც—ბუნების სიდიადით გრძნობა მორეულს გსურს შენც მთის ყვავილით გარდაიქცე, იდგე წყაროს პირათ და მის ბავშურ ტიტინს შენ უმანკო გულის-თქმას აქარგავდე! როდესაც ყვავილ ბალახთა სურნელებით დამტკბარს გწადია გვიმრა, დიაკ მაინც იყო, რომ ბუჩქებ შორის მოსისინე ნიავს ეარშიყო, ელერსო, გამოჰკითხო ქვეყნის ამბავი და დაბარო ხალხთან: ნუ შფოთავთ, ნუ სჭამთ ერთმანეთს, აბა მოდით და გვნახეთ, როგორ ვესიყვარულებით მთის ყვავილები ერთი მეორეს, როგორ გვიხარია მზის ამოსვლა, როგორის სიამოვნებით ვეგებებით მთვარიან ღამესა-ო»...

«როდესაც მზე ამოდის ხოლმე-გესმის ტყეში მარტოთ მყოფს მაკრატელა გვრილას ხმა-ჩვენ-მთის მშვენებანი სიხარულით ვენთებით, თვალთაგან სიამოვნების ცრემლებს ვაფრქვევთ, გულის სიმებს სასიყვარულოთ ვაჟღერებთ, გვსურს გავიხაროთ, ტანი ავიყაროთ, გადავიფურჩქნოთ, რომ მზის სხივებს შევწვდეთ, გულში ჩავიკონოთ, ჩავკოცნოთ... გვიყვარს მზე, გვიყვარს უზომოთ, უანგაროთ, ქვეყნის დიდებას ვანაცვალებთ თმა-ოქრო მზის სხივებს!...

მაგრამ... ძალიან კი ვმორცხვობთ! არ ვიცით, ამ უზარ-მაზარ ხეების ბრალია, გაბორჯღლილი რომ დაგვდგომიან თავსა და ბუტბუტით ფოთლებს რომ ითვლიან, თუ ჯერ გამოუცდელები უწვრთნელები ვართ!..

ღვთით მაინც არა გვიჭირსრა!..

«მზე რომ ამოდის, ჩემი დობილი წყაროც ენას ამოიდგამს ხოლმე: ათას გვარ ჰანგზე შხუის, რაკრაკებს, ყვავილებს ეარშიყება, ცეკვავს, თამაშობს. ას-წლოვანი ხეები ულვაშ-ქვეშ იცინიან და მედიდურათ, ისე, როგორც სჩვევიათ მოხუცებულებს, წარბშეკვრით გაჰყურებენ წვრიმალს. წვრიმალი კი ცელქობს თავისთვის იმ უდარდელის ბავშვივით, რომელსაც დედის გაჯავრებისა არ ეშინია. თმა-ხუჭუჭა ბუჩქები შრიალებენ, ერთმანეთს ეჩურჩულებიან, რაღასაც ანიშნებენ. ოხ, რა ლამაზები, რა ტურფები არიან მოლიცლიცე, ხავერდოვანი ბუჩქები... ღმერთმა ერთ დღეს ნუ მაცოცხლოს უმათოთ!!...

«ამას წინათ, აგერ, აი, ის ახალგაზდა თელა ქარიშხალმა წააქცია და დღესაც თვალებზე ცრემლი არ შეგვშრობია. აბა, შეხედეთ რა საცოდავათ ამოვარდნია საწყალს მხრები, რა გულსაკლავათ გაფითრებულა, ვეგონებით მზეთ—უნახავი კეკლუცი კუბოში განისვენებსო, იმასაც ხედავთ, მის გარშემო მდგომ ყვავილებს თავ-პირი როგორ ჩამოსტირით, როგორ დაძმარებულან ბალახები? ისინი გლოვობენ საბრალო თელას! იგი ერთ დროს ჩვენი ტყის სიამაყე იყო. ვინ იცის, რამდენი რამ უამბნია ჩვენთვის, როდესაც ქარ-ბუქისაგან გამწარებული, მოსთქვამდა ხოლმე ქვეყნის გაუტანლობას.

საწყალი თელა! მკვდარია, თვალებ დახუჭული, ველარასა გრძნობს, მაგრამ ჩვენ კი გვახსოვს მისი ანდერძი: შეერთდით,

შვილებო, გამხნევდით, ერთი მეორეს გაუხდით ფარად და გრიგალი ველარას დაგვაკლებთო—ოღონდაც! მაგრამ ზოგიერთმა, ჩვენთაგანმა ჰკუა რომ ვერ ისწავლა!! გამდგარან, ბატონო, განზე და შეჩვენებულებივით იბღვირებიან. უკეთურებს ავიწყდებათ, რომ ერთი ყვავილიც კი არ აიცრემლებს მშვენიერ თვალებს, ერთი ბალახიც კი არ შეირხევა მათის სიკვდილის გაგონებაზე. ჩაკვდებიან, როგორც ტურები და ჩალპებიან, როგორც ფუნე და ჩვენი წყევლა-კრულვის მეტი თან არა წაჰყვებათ-რა.

«ჰო, იმას ვამბობდით, გვიყვარს—მეთქი მზე და ჩვენც კი გვუყვარვართ მას, დილით საღამომდის თავს დაგვტრიალებს, ხან აქედან გვილის, ხან იქიდან ჩვენ ციბრუტივითა ვტრიალებთ, გვერდებსა და გულ მკერდს ვუფიცხებთ. ოჰ, როგორია გვთბილა ხოლმე მაშინ, რა ბედნიერები ვართ! ნეტა მზე არასოდეს არ ჩადიოდეს!

«მაგრამ განა მზეს კი არ უნდა დასვენება, მთელი დღე კელაპტარივით რომ ვარვარებს ცის გუმბათზე, განა იმას კი აწყენს თვალის მოხუჭვა?...

„უკაცრავათ, მზე თვით—მოყვარე დღე მოკლე მცენარე თუ მგონია?! აკი გუშინ საღამოთი, მზის ჩასვლისას, ბიძია ვერხვმა მიამბო:

„მზე არასოდეს არ ჩადის, არა ჰქრება. იქით, ქვეყნის მეორე მხარეს, ჩვენსისთანა ტყე და ბალახი ბევრია და ახლა იმათ გამოსაღვიძებლათ მიდისო, ხოლო ჩვენ რო არ მოგვწყინდეს და გვამცნოს თავისი უკვდავება, მთვარეს გამოგვიგზავნის ხოლმეო." ნეტა რით დამავიწყდა ბიძიას სიტყვები?

„უჰ! ან კი რამდენსა ვლაპარაკობ? ხომ არ მოგწყინდათ? რა ვქნა. მიყვარს სიცოცხლე და გულის მოოხება. რა ჩემი ბრალია!

„ოჰ, რა კარგია მთვარის მზერაც, ტყეს რო მიეძინება ხოლმე. ტკბილ სიზმრებში გართული ხეები ნეტარებით ფშვინავენ. ვერცხლის ფერ საურში გახვეული ბუჩქები უმანკო ბავშვებივით ეკვრიან ერთმანეთს და ძილში იღიმებიან. ჩვენ, ყვავილ—ბალახები, ჩუმათ, მაგრამ გულმხურვალეთ, ვლოცულობთ, რომ ძილი მშვიდობისა და ძალთა—მოკრებისა მოენიჭოს ჩვენ საყვარელ ტყეს. ყრუ ხევხუჟი ჯანღით იბურება, გმინავს, შფოთავს, ამცნევს მთის კალთებს: „ნუ გეშინია, მე გიდარაჯებო".

„ამბობენ: ბნელი ხევები გრძნეულებით, ალქაჯებით არის სავსეო: ტყუილია!.

„ეშმაკები კი არა,—იქაა ჩვენი ტანჯვის ფიალა ჩადგმული, იქ ჩადის ჩვენი უმანკო ცრემლები და როდესაც უსამართლობას შენიშნავს ცას, ან, როდესაც ჩვენი ტანჯვანი საზღვარს გადასცილდებიან ხოლმე, მაშინ ხევი იგი დიდდება, ზვირთდება და წალეკავს უქადის ყველა იმათ, ვინც მიზეზნი იყვნენ ჩვენის ტანჯვისა. რომ იცოდეთ, რა საზარელათ ბღუის ხოლმე ამ დროს ხევი, რა შიშის ზარსა სცემს განზე გამდგარ, გამამპარტავნებულ, ღმერთ დავიწყებულ ხეებსა!!

„მე კი სრულიადაც არ მეშინია ხევისა. თითო ოროლა ცვარს ცრემლისას მეც მივაწვდი ხოლმე, განა მე კი არ მტანჯავს ეს ეკალი, ლოთი დედა კაცივით რომ ალეწილა და მღორბლის, მზეს მიჩრდილებს!...

„დიაღ, არ მეშინიან ხევისა! ის რომ ბღუვის, მე ამ დროს იმედით შევყურებ მთვარეს და მეცინება დრუბლების სიმხდალეზე. დედავ, დედავ, რა გულგახეთქილნი გარბიან ხოლმე შავ—ბნელი ღრუბლები, იმალებიან, თავს იკატუნებენ, მთვარე კი მისდევს უკან გაბრაზებული და მთის იქით ცაცხანით მიერეკება. მაგრამ, მგონი, თვით შავ-ღრუბლები ერიდებიან მთვარეს... ყოველივე მავნეს ხომ სინათლისა ეშინია!

„მირბიან, ბატონო, ჩვენის წვალებისა და ტანჯვის გულ-გრილით მომზირალი და შემსუტავი ღრუბლები და შენ კი გულ ნეტარებით გვსებო, რომ მარტო შენ და შენისთანა უმანკოებს შეუძლიათ ბადრი მთვარის მზერა... იყურები აქეთ იქით და ხედავ, რომ ყველა შენი ტოლ-ამხანაგი მხიარული, ნასიამოვნებია, შენც გინდა მოისვენო, თავ-დავიწყებას მიეცე, გინდა სურნელებით, სუმბულით, საკმევლით იქცე, რომ მთვარეს ყნოსვა დაუტკბო, ჩაეჭნო, ჩაეგრიხო მის სხივებს, თვითონ შენვე განხორციელებულ სინათლეთ და ბედნიერებათ გადაიქცე!..

„სწორეთ ამდროს-ვე შემოჯდება ჩემს ახლო კოპწია ბულბული და, ის გასაქრობი,—ისე ჩაიკრაკდება ხოლმე, გეგონებათ, თავისსავე ხმას უნდა აჰყვეს ცაში და მთვარეს გულში ჩაეკონოსო. ამის დამნახველი შენც ეშხით ბანდები, სიყვარულით იწვი, გინდა გადაეხვიო შენ გვერდით მდგომ იას, ან ვარდს, ან გვირილას და იმასთან ერთად საუკუნოთ იცოცხლო, საუკუნო სიყვარულად იქცე.

— „ოხ, რა კარგია სიცოცხლე, სიცოცხლე დაუსრულებელი და სასიამოვნო, სიცოცხლე თავისუფალი და აზრით სავსეო"?! გესმის აქეთ იქიდან და აღარ გინდა ყური მოაშორო ტყეში გამეფებულ ჰარმონის.

— ოხ! რა უკვდავებაა მთვარიან ღამეს ტყეში ყოფნა. არა, არ მინდა ბნელი ღამეები, სიკვდილი... მეც მწყურია სიცოცხლე ბედნიერი, სიცოცხლე აღსავსე სიტკბოებითა და თავისუფლებით! ბუტბუტებ ცნობას მოსული და გიკვირს რო ასე მალე დაღამებულა.

ბუნების უხილავმა, უცნაურმა და საიდუმლო ძალამ თურმე ისე შეგბოჭა, დაგატყვევა, რომ შენდა უნებურად, შენც ამ ბუნების ნაწილაკმა, მთელი დღე ნეტარებით დაიღამე, უკვდავმა ძალამ სიცოცხლისამ ფიქრი მთის ყვავილით გიქცია და გული სიყვარულით. გამხნევებული წამოიჭრები ფეხზე და აღტაცებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში ირწმუნებიან, რომ სათათბირო 1 ნოემბერს მოწვეული არ იქნება.

გუბერნატორების შემადგენლობის ცვლილება.

ბიუროკრატიულ წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, გუბერნატორების შემადგენლობაში ცვლილების მოხდენის შესახებ. ამ შემთხვევაში ახალი მინისტრი, როგორც ირწმუნებიან სასწრაფო ცვლილებებს მოახდენს. მისი აზრით, გუბერნატორების დანიშვნის დროს უპირატესობა მიეცემათ იმ პირებს, რომელნიც სამოსამართლოო უწყებაში მსახურობენ და რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი სწავლა-განათლება.

შერთებული თავად-აზნაურობა და პროგრესიული ბლოკი.

პროგრესიული ბლოკის დაარსებას, რუსეთის თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი უარყოფით შეხვდა. როგორც ეხლა ირკვევა, შერთებული თავად-აზნაურობის თავმჯდომარეს ა. სტრუკოვს 23 აგვისტოს წერილობით მიუმართავს გორემიკინისათვის, რათა ამით გაეფრთხილებია მთავრობა, რომ ამ უკანასკნელს არ დაეთმო პროგრესიული ბლოკისათვის.

წერილზე ხელი ქონდა მოწერილი მარტო სტრუკოვს, სადაც ის დაახლოვებით შემდეგს სწერდა: თავად აზნაურობის აზრით, საზოგადოების ნდობით აღჭურვილი სამინისტროს შედგენა, არ არის რუსეთის ხალხის მოთხოვნილება. რუსეთის ხალხი და მათ შორის რუს. თავად-აზნაურობაც, ფიქრობს სულ წინააღმდეგს. მათის აზრით, ყოველგვარი ცვლილება შინაურ პოლიტიკაში, დროს შესაფერისი არ არის. რაც შეეხება ქალაქთა და ერობათა სიეზდებს, რეზოლიუციებს, ნათქვამია რეზოლიუციაში და სახ. დუმაში წარმოთქმულ სიტყვებს, მათი მიზანია გამოიწვიოს ხალხში მღელვარება და მოახდინოს არსებული წესწყობილების შეცვლა. ამიტომ თავად-აზნაურობა, ფუძე არსებული წესწყობილებისა, აფრთხილებს მთავრობას არ გადადგას შემცდარი ნაბიჯი და სთხოვს მას აუწყოს თავად-აზნაურობის სურვილი მონარქს.

სტრუკოვის წერილმა უკმაყოფილება გამოიწვია თვით თავად-აზნაურებშიაც კი. პროგრესიულმა ნაწილმა დაგმო სტრუკოვის მოქმედება, რომელმაც მათი აზრით, ისარგებლა რა შეერთებული თავად-აზნაურობის სახელით ჩაიდინა უზურპატრობა. ხოლო მეორე ნაწილი აშკარათ თანაუგრძნობს სტრუკოვსა და მოითხოვს შავი ბლოკის შედგენს. ყველა ამ უთანხმოების გამო 22 ოქტომბერს პეტროგრადში მოხდება თავად-აზნაურთა კრება, რომელშიაც საგუბერნიო მარშლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ქართული პრესა.

„თანამედროვე აზრი" თავის მეთაურ წერილში: „ბრძოლა სიძვირის წინააღმდეგ" არკვევს გაძვირების მიზეზებს და მასთან ბრძოლის საშუალებებს და, სხვათა შორის, კერძოთ, კავკასიის შესახებ სწერს:

> ვინც კი კავკასიის ეკონომიური ცხოვრების განვითარებას ცოტათი მაინც დაკვირვებია, იმას აუცილებლათ ეცოდინება, რომ ამიერ კავკასია მრეწველობის და სასოფლო „სამეურნეო წარმოების მხრივ მეტათ უნუგეშო მდგომარეობას განიცდის. მთელი ჩვენი სამრეწველო და სამეურნეო მოთხოვნილება უმთავრესათ რუსეთიდან შემოტანილ საქონლით კმაყოფილდება. ადგილობრივ არ არის განვითარებული საფაბრიკო და საქარხნო წარმოება, არ მოგვეპოვება ხორბლეულობის სხვილი მეურნეობა. არც ერთი და არც მეორე არ აკმაყოფილებს ხალხის სხვა და სხვა მოთხოვნილებას. ყველაფერი შორიდან მოდის, უშველებელი მანძილი უნდა გაიაროს, ასე, რომ საერთო გაძვირების მიზეზებს გადატან-გადმოტანის სიძვირეც ზედ ერთვის და ნაწარმოების ღირებულება მაღლა იწევს.
>
> ამას კიდევ ის გარემოება უნდა დაემატოს, რომ კოოპერატიული მოძრაობა, საკოოპერაციო მოქმედება ჩვენში უფრო ნაკლებათ არის განვითარებული, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებში. რაც შეეხება საზოგადოებრივი ძალების ამოძრავებას, რომელიც დღევანდელ ეკონომიურ პირობებში მძლავრი იარაღია დანგრეულ და გათახსირებულ წარმოების და საქონლის გადატან-გადმოტანის წინააღმდეგ შებოჭვილია, ხალხის თვითმოქმედება, ხალხის საზოგადოებრივი ორგანიზაცია უმოქმედობის სავარძელშია ჩასვენებული. თუ არ ხალხი, თუ არ ხალხის თავისუფალი მოქმედება, აბა სხვა ვინ შესძლებს მისი ტკივილების განკურნებას? მართალია, არსებობს ჩვენში სხვა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულება, სხვა და სხვა ეკონომიური ორგანიზაციები, მაგრამ ესენი ხალხის ნამდვილ ჭირ-ვარამს ისე არიან დაშორებულები, როგორც ცა დედამიწას. თუ ეს ასე არ არის, მაშ რით აიხსნება, რომ ქალაქის თვითმართველობამ მხოლოდ დღეს დაიწყო სასურსათო კრიზისზე ლაპარაკი, მხოლოდ დღეს მიაქცია მას „ყურადღება". მაგრამ ახლაც არ გვწამს მათი არაფერი, ესენი ვერ მოაწესრიგებენ მცხოვრებთა გამოკვების საქმეს და, მაშასადამე, ისევ ხალხი უნდა შეუდგეს ამ მეტათ მძიმე პირობებში თავისი თავის გამოკვებას.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ **რადგან ქუთაისში ამ ჟამად დამატების ქაღალდი არ იშოვება ჩვენი გაზეთის მორიგი დამატება დღეის ნუმერთან ერთად არ გამოდის.**

✦ კვირას, 4 ოქტომბერს, ქუთაისში თფილისიდან ჩამოსულა ვინმე ზარდალიშვილის ქალი ერთი წლის ბავშვით. გუშინ ქალაქის ექიმის დადუნაშვილის შემოწმებით, ეს ორი დედა შვილი ავათ გახდენ ხოლერის ნიშნებით, ქვრივი ცხოვრობდა ბალახვანის ქუჩაზე ჰავჭანიძის სახლში. ქალი გადამდებ სენიანთა ბარაკში მოათავსეს, ბავში კი გუშინვე გადაიცვალა. ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ბავშს აპერაციას გაუკეთებენ და ხოლერიანთა სასაფლაოზე დაასაფლავებენ.

მსახიობი ქალი
ოლ. ღოღობერიძე.
(წრევანდელი სეზონის გამო)

✦ გამოვიდა და იყიდება თ. ღლონტის ქართული წიგნი „ერობა საქართველოში" წიგნი სუფთად არის გამოცემული და 6 შ. ღირს.

✦ ახალი კანონის ძალით, ჩვენ სოფლებში უნდა ამოერჩიათ ე. წ. ვოლოსტის მამასახლისის დაგვარი მამასახლისები, მაგრამ, როგორც გავიგეთ, მთავრობას ამის სისრულეში მოყვანა შეუჩერებია, რადგანაც ახლო მომავალში ერობას მოელიან ჩვენში.

✦ ქუთაისის რეალური სასწავლებლის ინსპეკტორი, სთხოვს ქალაქის გამგეობას შეატყობინოს ამ ჟამათ ქალაქში არსებული ნიხრი სხვა და სხვა სანოვაგეზე.

✦ სამხრეთ რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა საბჭოსაგან, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ წინადადება მიიღო 17 ოქტომბრისათვის ოდესაში გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი, სამხრეთ რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა საერთო საზოგადო კრებაზე დასასწრებლათ.

✦ ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირი შეეკითხა ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რათა ჩაეწეროს კავშირის წევრათ. ამის შესახებ ქუთ. განყოფილება შეეკითხა თბილისში უფროს ქარ. შორ. წერ. კით. გამ. გამგეობას.

✦ 4 დან 30 სექტემბრამდი ჭიათურიდან, რუსეთში გაუზიდავთ 100,000 ფუთი შავი ქვა.

✦ 13 ოქტომბერს, ქუთაისში მთავრობის ნებართვით მოხდება საქართველოს სხვა და სხვა კუთხის რაბინთა ყრილობა. კრების მიზანია გამონახოს ღონის ძიება, რათა გაამრავლონ ქართველ ებრაელთა შორის კულტურული დაწესებულებები.

✦ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ცნობით, ოზურგეთის ზუგდიდისა და სენაკის მაზრის სახალხო მასწავლებლებს. დაენიშნა ომის გამო დღიური სუფსიდია 10 შ.—4 აბაზამდი. დღიური ფული მასწავლებლებს დაურიგდება აპრილის, მაისის, ივანობისთვის და კვირკობისთვის. დანარჩენი თვეების დღიური დაურიგდება ნოემბერში.

✦ ქუთაისის მიხეილის საადგილმამულო ბანკის დამფასებელი კომისიის წევრების არჩევა მოხდება ამ თვის ბოლოს.

სოფლათ.

— როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ ლეჩხუმის ახლო-მახლო მთები ჩამოთოვა, მოსავალი მთებში გაყინა და გაახმო. ღვინის მოსავალი წელს თითქმის $^{1}/_{20}$ არ არის შარშანდელზე შედარებით. ასეთსავე ამბავს გვწერენ ოკრიბიდანაც, განსაკუთრებით ზემო იმერეთის მრავალ სოფლებიდან.

✦ ს. სიქთარვა (შორაპნის მაზრა). გვწერენ რომ ამას წინათ ადგილობრივ მცხოვრებს დ. იაშვილს ავაზაკებისაგან მუქარის წერილი მოუვიდა, სადაც შანტაჟისტები თხოვდენ 300 მან. ბ. იაშვილმა ეს წერილი მაზრის უფროს გადასცა, რომელმაც ეჭვით დააპატიმრა გლეხი ს. ტაშბერაძე.

პატარა ფელეტონი.

ღალატი.

(ვუძღვნი მეგობარ ქალს).

„მეგობრობა" წმიდაა ჩემთვის ეს გრძნობა, ვით სანთელი ხატის წინაშე, ვით კოკობ ვარდზედ დაპკურებული დილის ცვარი, უსაზღვროა იგი, ვით უძირო ოკეანე და კეკლუცი, ვით ნარის ველებში ამოსული მორცხვი ია. მაგრამ, შენ, შენ ჩემო ოდესღაც ერთგულო, მაგრამ ეხლა კი ორგულო, მეგობარო შეურაცხყავ ეს დიადი განძი ადამიანის სიცოცხლისა. შენ მოსტაცე მას ანგელოზის სახე, რომელიც მიშუქებდა ბნელ წყვდიადს, თანამიგრძნობდა ჭირში, თუ ლხინში. მომტაცე ის განძი ქურდულათ, მიპარვით, [illegible] მე მეძინა ტკბილ ოცნების [illegible] მანიჭე ნაცვლათ ცბიერება,—ღალატი.

გახსოვს, ამ ორი წლის წინეთ როგორ გვიყვარდა ერთმანეთი? ეჰ! მაშინ გაზაფხული იყო, ეხლა კი ცივი ზამთარია, ზამთარი, რომელმაც დაჰკნო ჩვენი მეგობრული სიყვარული და თავგანწირულება. იგი თვისი მკაცრი და დაუნდობელის ხელით შეეხო ჩვენი კავშირის ვარდს, მოსწყვიტა, ამოჰგლიჯა გულიდამ აღგზნებული გრძნობა მოუსპო სიცოცხლე და გასტყორცნა შორს, შორს... სადღაც უფსკრულში.

ამ ორი წლის განმავლობაში ისევ მეგობრები ვიყავით თითქოს, მაგრამ შენში ვეღარ ვპოვებდი იმ უმანკოებას, რომელიც ოდესღაც ამშვენებდა ბავშურ სახეს. თვალებიც სულ სხვას მეუბნოდენ, აღარ იყვნენ ისინი კვლავ ჩემდამი ერთგულებით სავსენი, მაგრამ მე მაინც კიდევ ბრმათ მწამდა შენში ძველი მეგობარი, ძველი მარო. ყოველივე ეს, სცდილობდი, დაგეფარა ჩემგან და ამ მიზნის მისაღწევათ, იმოსებოდი რაღაცა საიდუმლო ჩადრით. შვიდი წლის კავშირს ნელ-ნელ არღვევდი. ოჰ! რა უმანკო იყო ეს კავშირი, გახსოვს, როდესაც გიმნაზიის კარებში პირველათ შეგხვდით და მეგობრულათ გავუწოდეთ ერთმანეთს ხელი?! ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ერთმანეთისადმი თავგანწირულება და სიყვარული. რა სიხარულით დავრბოდით, დავხტოდით დასვენების დროს გიმნაზიის ეზოში! როგორ მივქროდით კლასისაკენ, როდესაც ზარი ირეკებოდა, მაგრამ ხელს კი არ ვუშვებდით ერთმანეთს, თითქოს ვეშინოდა არავის დაერღვია ჩვენი ბავშური ერთობა. ოჰ, რა კარგი იყო მაშინ!

მაგრამ რამდენადაც დაუფასებელი იყო ჩემთვის ის ოქროს ხანა, იმდენათ საზიზღარია აწინდელი დრო, დრო, რომელმაც მოგტაცა სულის სისპეტაკე და ჩემდამი ლალატი.

რას ნიშნავს ეს უკანასკნელი ორი წელი?

რათ მოგვიტანა მან ესეთი უცნაური ცვლილება, რათ გვშვა მეორეთ?

ამ კითხვაზე მევე გიპასუხებ.

ორ წელს ბევრი რამ შეუძლიან, ჩემო მოღალატე; ამ ხნის განმავლობაში მრავალი რამ შევისწავლეთ. ბევრათ თუ ცოტათ ავახილეთ დახუჭული, უსინათლო თვალნი, გამოვერკვიეთ ბავშური ოცნებიდან და პირდაპირ შევხედეთ ცხოვრების თვალებში და შიგ ამოვიკითხეთ:

— ღალატი, შური, ცბიერება!

შესძახებ ჯანღით მოცულ მობუზღუნე ტყეს, ბუმბერაზ მთებს, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ბადრ მთვარეს, ბულბულის ხმით ამღერებულ ჰალა-მინდორთ!

— შენ გენაცვალე, სამშობლოის ბუნებავ, რა მშვენიერება ხარო?!

განა ეს მარტოობაა??

მე არც ის მიმაჩნია მარტოობათ,—როდესაც, ზღვის პირათ ბალახებში წამოწოლილი, გასცქერი ზღვის დაუსრულებელ სივრცეს.

ზღვა ღელავს, ბობოქრობს, ღიღინებს, ბურტყუნებს. შუა ზღვიდან წამოსული ტალღა ნაპირებთან უხილავის ძალით იზრდება, მთის ოდენა ხდება, ქანაობს, ქანაობს, მერე საშინელის სისწრაფით იშლება და ტყლაშუნით აწყდება კიდეებს. ამ ტალღას მეორე მოსდევს, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე... ვეღარ დათვლილია. თვალი გიჭრელდება. ზღვის ზვირთებს მისდევს შენი ფიქრებიც. რიყეზე მარტო ლეშივით გდიხარ. აღარ გესმის ტყლაშუნი შეუბრალებელის სტიქიონისა, მარტო ყურებიღა გიშხუის.

გბორკავს, გიმონავებს ზღვის სიდიადე. აზრი ვერ გაგიწვდენია მისის სივრცისათვის, ფიქრი ვერ დაგილაგებია და, ოცნებათ გარდაქცეული, მიჰფრინავ ღრუბლებისკენ, იქ, სადაც, შორს, შორს ცის ტატნობზე რო გადაპენტილან და, ჩამავალ მზის სხივებით მოქარგულნი, უკვდავების, თავისუფლების სადგურს დამსგავსებიან, იქიდან, იმ ღრუბლებიდან, გადმოსცქერი შენს ლეშს, ზღვის პირად გაჭიმულს და თვალებ დახუჭულს ჯოხს, რა არარაობათ გეჩვენება შენი თავი, რა მცირეთ, რა კნინათ, ამ ზღვასთან შედარებით.

— რა ხარ შენ?

— არაფერი!!..

მაგრამ აგერ კვლავ შემოგღრიალა ზღვამ, შემოგიტია სულ-მდაბლობისათვის.

შენი ლეში გამოცოცხლდა, სული ღრუბლებიდან ჩამოგიფრინდა და, გამოფხიზლებული, იღიმები. მერე წარბებს იკრავ და გულის მოსაფხანად ზღვაში რიყიდან აღებულ კენჭებს ისვრი, ვიდრე ხელი არ დაგეღლება და მოჭუხარი ზღვა ისევ საოცნებოთ არ მოგმართავს.

კვლავ გაბუცდი. ფიქრთა კონამ აგიტაცა და შენ სამშობლოში, შენ ქვეყანაში დაგსვა. ხედავ შენ თვისსა და ტომს, შენს მეგობრებს (ამ დროს ყველა მეგობარი გგონია), შენ სატრფოს,—მშვენიერ თვალეკუენა გოგონას, თვისსა და ტომს გამარჯვებას ეუბნევი, მეგობრებს დღეგრძელობას უსურვებ, სატრფოს სამუდამო სიყვარულსა სთხოვ, ეჰ—ნაკრავი ებუზღუნები, ელერსები, ჰკოცნი დაუსრულებლად, მაგრამ მაინც ვერა ძღები მასთან ყოფნითა!.. ბავშვივით უმანკო გგონია შენი თავი და ზღვასავით—ძრიელი, მედგარი. გინდა დაავლო ყველას ხელი, აიტაცო მაღლა ცაში და იქიდან დაანახვო: რა სუსტი, რა ბეჩავია ზღვა ცასთან შედარებით.

ცა—კი?

ცა უფრო დიდებულია, უფრო დიადი საიდუმლოებითაა სავსე.

აგერ შენიანებთან ერთად დადიხარ ღრუბელთა შორის, ვარსკვლავებს დასაჭერად დასდევ. იგინი კი ღიკვკიებენ, ხელიდან კალმახებივით გისხლტებიან, აქა იქა თვალებსა სჭუტავენ, გიცინიან, გეწამწებიან! შენც გეცინება. ცას კი გული მოსდის, ფითრდება, კოპებს იკრავს. უკანასკნელი შუქი ტატნობისაც სადღაც ჩაჰქრა, ჩაილია, და ცა სულ გაპირქუშდა, თვალიდან მიგემალა.

ისევ ზღვა და ზღვა, უბედი მოქაქანე გიდევს თვალ წინ, ჯაგარ-აშლილი, ეშვებ დაღრეჯილი, ტყის ტახივით ღრუტუნით მოაგორებს ვეშაპივით ტალღას და...

— ტყლაშ... ბრრ... ბუჰ... გმინავს ზღვა და გრიალით თავზარსა გცემს. აგერ ერთი ტალღა კიდევ წამოვიდა შუადან, გაიზარდა, გაიზარდა, შავ-ბნელ ციხესავით აეყუდა ცას, მერე აქეთკენ და ისეთი ძალით შემოჰკრა სილა საზრალო კიდეებს, რომ რიყემ შიშით უკან დაიხია და შენ წელამდის დასველდი. გულ-გახეთქილი წამოვარდი ზეზე და რას ხედავ?

შენ ცადან ჩამოვარდნილხარ, ზღვა-კი გაბატონებულა, ზღვა გაღმერთებულა, ღმუის მდევივით დაგორავს, პირიდან ქაფებს ისვრის; ცასა და ქვეყანას შთანთქას უქადის.

რომელი სტიქიონი შეედრება ამღელვარებულ ზღვას?! უყურებ და არ გჯერა, ხედავ და აზრი ვერ მოგიკრეფია, საიდან ან როგორ გაჩნდა წყალთა ამოდენა გროვა!

უმზერ მღელვარე ზღვას და გაგონდება ის შავნი ძალნი, რომლებიც ცხოვრებასაც ამღვრევენ, აბობოქრებენ. გული გტკივა, რომ არ შეგიძლია შეაჩერო ზღვის ბორგვა, სიმწარისაგან ღაწვებზე ცრემლი ჩამოგდის, რომ ვერ ახერხებ აღმოფხვრა, გაანადგურო ბოროტი ძალები, და ქვეყნათ დაამყარო სიმშვიდე, საათნოება, პოეზია...

მაშ, რაღა ხარ?

გეშინია, ზღვამ აღარ დაგცინოს და გულადათ გაიძახი:

— მე ვარ ადამიანი... მე შემიძლია შევისწავლო კანონები ბუნებისა, შემიძლია დაგამშვიდო, საბრალო ქვეყანავ, შემიძლია... განერიდი მეთქი, ზღვავ!.. ყვირი, ღრიალებ ცნობას მოსული, შფოთავ, მუშტებსა ჰკუმშამ და, ჯავრითა და ბოღმით თვით მუშტის ოდენათ დაცარულს, გსურს შეეჭიდო ცასა და ქვეყანას.

ზღვა კი ყურსაც არ იბერტყავს შენ ყვირილზე და გრძნეულსავით ბლუის, ზრიალებს, ხარხარებს.

განა მარტო ხარ ამ დროს? არა!

შენ ჰფიქრობ, შენ სცოცხლობ ძალღონეს იკრებ, სწავლობ და ბრძოლას აპირებ. შენ ამ დროს ორ—ფეხა ცხოველი აღარა ხარ, შენ ხარ კაცი—გონიერი ადამიანი, რომელსაც თავისთვისა და სხვისთვისაც სიცოცხლე გწყურია, სიცოცხლე ღვთისნიერი, თავისუფალი.

ეულად, მარტოდ მხოლოდ ხალხში, ადამიანებში გრძნობ თავსა! იმ დროს, როდესაც ცხრათ წელში მოხრილი, ჩაფერფლილი მოსჯდომიხარ მაგიდას მდიდრის კანტორაში და სწერ და სწერ შენთვის უმნიშვნელო, მაგრამ პატრონისათვის კი დიდმნიშვნელოვან ციფრებს... შენ გვერდით ათი და თორმეტი შენსავით დაბეჩავებული მონა ლუკმა პურისა შენზე უარესათ ჩაყვითლებულან და საცოდავათ აწრიპინებენ დატენჯილ კალმებს...

თავ-ბრუ დაგესხა, დარეტიანდი ციფრების წერით, საანგარიშებელ ჩოთქის რახა-რუხით. მანქანობა მოგწყინდა, გინდა გამოელაპარაკო ვისმე.

— სსსუ!... გაისისინებს მეზობელი.

მდიდრულად მორთულ კაბინეტიდან მოისმის უფროსის გამაძღარი ფშვინვა. ყურს უგდებ, გინდა გაიგო: დღეს რაღა გუნებაზე ბრძანდება შენი უფროსი, მადლიერია თუ არა შემოსავლისა, შენის მუშაობისა, მოგცემს თუ არა ოცში ჯამაგირს. გასესხებს თუ არა ფულს, რომ გაისტუმრო მედუქნეების ვალი, გააძღო და გაათბო საყვარელი ცოლ-შვილი, თავისუფლად, თამამად შეხედო ყველას თვალებში.

— ბიჭო, ფული მჭირია... გამიმართავს ხელს თუ არა ჩვენი ბატონი... მოკვდი, დავილიე ამდენი ჯავრით. ცოლ-შვილი მშიერი ამომიწყდება, სიდედრი სახლში აღარ შემიშვებს... მეწვრილმანე ქუჩაში ქუდს მომტაცებს... ჰა, ბიჭო, რას იტყვი?

— სსუ, კაცო, მოდის—კნავის შენი მეზობელი.—მოდის მეთქი...

კაბინეტის კარებში ხედავ შენის უფროსის გაპურძგნულ, ჩასუქებულ სახეს, ღიპი ერთს არშინზე გადმოუგდია, დავით აღმაშენებლის ბეჭდის ოდენა ბრილიანტის ბეჭედი ბანჯგვლიან სალოკ თითზე წამოუცვამს. მდიდრული ტანისამოსი აცვია, უძილობისა და ქეიფის გამო თვალები ჩასისხლიანებია, მაგრამ მაინც ისეთი მედიდური გამომეტყველება აქვს, თითქოს გეუბნებაო: განხორციელებული ფულები ვარ, რომელ ჯიბეზედაც უნდა დამკრათ ხელი, სულ ორმოცდა ათ თუმნიანებს ამოჰყვებაო!..

შენ უფრო ვეღარ ხედავ, თვალწინ გიდგია სოსანი ქაღალდის ორმოცდა ათ თუმნიანი. ერთი, ერთად ერთი ცალი;..

— უჰ, რა ფულია და ორმოცდა—ათ თუმნიანი!.. ერთი ჭუჭყიანი ცალიც რომ მქონდეს, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება, ვალებს მოვიშორებ, ცოლ-შვილს გამოვკვებავ... სიდედრს სალოპს ვუყიდი... არხეინათ დავიძინებ ჰფიქრობ შენ და ოცნებაში წასული, სულელურათ იღიმები...

— რას იღრიჯები!—გესმის ამ დროს უფროსის ბოხი ხმა—... უბრალო ღრეჭა ღიმილს არ გირჩევნია, რიგიანათ იმუშავო, ადრე მოხვიდე ხოლმე კანტორაში, გვიან წახვიდე. სამუშაოს თავი ჩაიკალი, თორემ ყველას ერთ დღეს გაგრეკავთ... უფროსი შენთან ერთად ყველას ემუქრება, საწყალი შენი ამხანაგები კანკალმა აიტანა, შენ კი ჭაობის ციებამ გაგიხსენა და კბილი კბილზე დაგინაყა...

— ნეტა ვისზე უფრო ჯავრობს?—ჰფიქრობ შენ.

— ამ დღეებში დაგითხოვ, რადგანაც ძლიერ გაფანტულათ მუშაობ...

მგონი, ტვინი თავში რიგზე არ უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთგულება, თავგანწირულება და ძმათა სიყვარული.

ამ ამონაკითხიდან შენ ღრმათ ჩაგეწვეთა გულში პირველი სამი თვისება, ეს თვისებანი დაისახე შენ იდეალათ ამ ჰუჰყიან იდეალს დაუბრკოლებრივ დაეწაფე და დაემონე ჯოჯოხეთურის სიჯიუტით. ეს ბილწი გრძნობანი სამუდამოთ ჩაიმარხნენ შენ ქვა გულში, იქ ჰპოვეს მათ თვისი ნამდვილი დანიშნულების ადგილი.

და აი, სწორეთ ამ მზაკვრობის საფარით ხმარობდი იმ ჩადრს, რომელიც დღემდის ჩემთვის საიდუმლო იყო. დღეს კი, როდესაც მოულოდნელმა ქარიშხალმა მოგგლიჯა ეგ მაცდური საფარი, დაგინახე, დაგინახე, მაგრამ გვიან, ისე გვიან, რომ ამაოა სინანული.

დაგინახე და ვეღარ გიცან, შენი აჩრდილი აღარსად იყო, ნაცვლათ რაღაცა მოჩვენება, ჩონჩხი გულ გამოცლილი, მოკლებული ყოველივე ადამიანურ თბილ გრძნობას, შემრჩა ხელში. სინანულის და შიშის ზარმა ამიტანა.

მსურდა გაქცევა, მაგრამ მუხლებმა მიღალატეს, დავეცი ულონოთ ძირს; მეგონა ჩონჩხი დამინდობდა, მაგრამ არა, შევცდი. იგი მომვარდა წამიპყრა ყელში ხელი და მახრჩობდა.

ვიგრძენ სიკვდილი მიახლოვდებოდა.

— როგორ, ამ საზიზღარმა მოჩვენებამ უნდა მომისპოს სიცოცხლე, არა, შეუძლებელია მეთქი,—ვიფიქრე მე და წამოვიჭერ ფეხზე. მოვიკრიფე უკანასკნელი ძალა, ვეცი ჩონჩხს და მსურდა ამომეხადა სამუდამოთ სული, იგი დაეცა ჩემ ფეხებ ქვეშ და დამიწყო მუდარა, მეჩუქებინა სიცოცხლე.

ო, შე იუდა, გამყიდველო, მოღალატე! არ გავისვრი, არა შენზედ ხელს, გაჩუქებ სიცოცხლეს; წადი, იცხოვრე, იცხოვრე ქვეყნის სამარცხვინოთ! შევყვირე მე. ერთი ზიზღის თვალით კიდევ გადავხედე და გამოვსწიე სახლისაკენ.

კარებზე ჩვენი მურია დამიხვდა, იგი ხტუნვით და კუდის ქნევით მომეგება, უხაროდა ჩემი მისვლა.

— მოდი ჩემო მურია, მოდი!—მივაყვირე მას.

— შენ უფრო ადამიანზე ერთგული ყოფილხარ. აგერ ათი წელიწადია ჩვენ ოჯახს გარშემო უვლი, ემსახურები და სდარაჯობ მას. ხან მშიერი ხარ, ხან კარგათაც მოგაყოლებენ მათრახს, მაგრამ შენ მაინც ისევ ერთგულათ სდარაჯობ შენი ბატონის ავლა-დიდებას. თუ მტერი როგორმე შემოგივა, ზედაც შეაკვდები, ვფიქრობდი ჩემთვის.

შევედი სახლში; სულის საშინელი სიმარტოვე ვიგრძენ. მსურდა ჩემი ნაღველი გამეზიარებინა ვისთვისმე, მაგრამ არავინ მყავდა, ვიყავ სრულიად მარტოდმარტო, უამხანაგოთ, უმეგობროთ, ვისთვის მიმემართა, მე თვითონ არ ვიცოდი...

ამ დღიდან დაიწყო ჩემი ცხოვრება და აი, სწორედ ამ დღიდან ვეწევი იმ უღელს, რომელიც სევდის ხიდან არის გამოჭრილი...

ნაპერწკალი.

თეატრი და ხელოვნება.

ქალაქის თეატრში, დღეს 11 ოკტომბერს „ქართული დრამის“ ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება განთქმული რუს-დრამატურგის ლ. ანდრეევის ცნობილი პიესა სტუდენტების ცხოვრებიდან „გაუდეამუს“. 4 მოქმედებად: ეს მეექვსე სეზონია პიესა რუსეთის ყველა თეატრებში სარეპერტუაროთ არის მიჩნეული და დიდის აღფრთოვანებით ისმენს ხალხი. ჩვენმა დასმა ეს პიესა ამ ხუთი სეზონის წინად პირველად წარმოადგინა ქუთაისში და იმდენათ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ სამჯერ ზედიზედ იქმნა წარმოდგენილი. იგივე დასი ამ პიესით თბილისში საგასტროლოთ იყო წასული. წრევანდელი დასის შემადგენლობა თითქმის იგივეა, რაც „გაუდეამუსის“ პირველ წარმოდგენის დროს იყო. იმედია, საზოგადოება, რომელიც დიდის აღტაცებით ისმენდა ამ პიესას არც ეხლა მოეპყრობა გულგრილად. უნდა დავსძინოთ აგრეთვე, რომ ამ პიესაში უმთავრეს როლის „მოხუცი სტუდენტის“ ასრულებელი შალვა დადიანი ერთად ერთი უნაკლო განმსახიერებელია ქართველ მსახიობთა შორის.

დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.

თბილისის ლაზარეთში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: უკულევა პავლე გაბრიელის ძე, ნიქაბაძე კონსტანტინე, აბულაძე გერასიმე, ნუცუბიძე სერგო ილარიონის ძე, ხუხუტაშვილი ივანე ლაზარეს ძე, ცხვარაძე ბართლომე ბიჭიას ძე, ჩხეტია ქრისტეფორე პავლეს ძე (კაპიტანი), ხერაძე ივანე გიორგის ძე, ჩიბაშვილი დიმიტრი გაბრიელის ძე, შავგულია ანდრო სიმონის ძე, ჩირაძე ლევან ანტონის ძე, ჩარბაძე რომანოზ სოლომონის ძე, ჩახაშვილი დიმიტრი გაბრიელის ძე, ჯანარაძე ფილიპე სამსონის ძე, ხევსურიანი ალექსი გიგოს ძე, ვარდანაშვილი ონიფანტე, ცერცვაძე ნესტორ სიმონის ძე, ყრუაშვილი გიორგი სოლომონის ძე, ქორქოლიანი მაქსიმე პავლეს ძე, ძნელაძე ვასილ თედორის ძე, პოლაძე პოლიკარპე, მატაშვილი გიორგი, მაისურაძე დიანოსი დათას ძე, ნოზაძე ტარასი, გაბესაძე ივანე ალექსის ძე, დობლაშვილი სამსონ, რასანაული გიორგი, სურგულაძე ბიქტორ გიორგის ძე, ეფრემიძე სიმონ პავლეს ძე, შეილდაძე იასონ, ჯანელიძე ალექ ანდრე, ფხაკაძე შალვა იაგორის ძე, კახოიანი კაპიტონ მიხაკას ძე.

დაბა სოფელი.

სოფ. ტვიში. (ლეჩხუმის მაზრა). მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ეს სოფელი მდებარეობს ქალაქ ქუთაისიდან 41 ვერსის მანძილზე. უნდა ვსთქვათ, რომ ეს სოფელი მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ საშუალებას. აქ არსებობს ერთადერთი, ერთკლასიანი სამრევლო სკოლა. ამ ორი წლის წინად ამ სკოლის შენობა გარეგნული შეხედულობით წარმოადგენდა უპატრონო ბინას, მიუხედავად იმისა, რომ სწავლა რიგიანად იყო დაყენებული. დაბოლოს 1914 წელს, როგორც იყო, აქაურმა საზოგადოებამ გადასწყვიტა ახალი შენობის აგება. კიდევაც აირჩიეს კომიტეტი თავადი კოწია გარდაფხაძე, ყაფლან ასათიანი, სემი ასათიანი, ალფეზ ასათიანი, ალექსი ლეხსწვერიძე და რომანოზ ზანძალაძე. შეკრიბეს საზოგადოებიდან შენობის ასაგები ფული. აირჩიეს კალატოზი გაბრიელ ლომთაძე და დაიწყეს ახალი შენობის აგება, სწავლა კი ნაქირავებ შენობაში იყო. 1915 წელს 2 აპრილს ნაქირავებ შენობიდან მოწაფეების პარტები გადატანილი იქნა მოუთავებელ ახალ შენობაში, ხოლო კალატოზის დაპირებით უნდა მოთავებულიყო ერთი თვის განმავლობაში, როგორც იყო, დიდი გაჭირვებით, მეცადინობა ამ სკოლაში გაგრძელდა ორ მაისამდი. ახლა, დანიშნულ დროზე გამოცხადდა მასწავლებელი, მაგრამ შენობა ისევ ასეა მოუთავებელი, როგორც იყო. დღეს დღეობით სკოლაში იმყოფება 50-მდი მოწაფე, რომელნიც დიდ გაჭირვებას განიცდიან, სიცივის გამო. ასეთს სიცივეში უფანჯრო ოთახში მეცადინეობენ საბრალო მოწაფეები, რაც ხელს უშლის ნორმალურ სწავლას. მასწავლებლის თხოვნაზე კომიტეტი მოკლე პასუხს იძლევა—მალე გავაკეთებთო. სწორედ ქართული ანდაზა ამ სკოლის მასწავლებელზე და მოწაფეებზე არის ნათქვამი: „პეტრეს მოსვლამდე, პავლეს ტყავი გააძვრესო“ რომელია დამნაშავე კომიტეტი, თუ კალატოზი დღემდი გამოურკვეველია. საჭიროა ტვიშის საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სკოლის შენობის მოთავებას და მით ხელი შეუწყოს ბავშების წესიერ მეცადინობას.

გულშემტკივარი.

იძულებითი პასუხი ას.-ამხ. ტ. სალაიას.

გაზ. „სამშობლოში“ მოთავსებული იყო წერილი „Аврора“-ს ფსევდონიმით*) (იხ. „სამშ.“ № 194).

ამ წერილს ისე გაუწიწმატებია ტრიფონ სალაია, რომ კბილით შეჭმას უპირებს ამ წერილის ავტორს და ამ გაცხარებულ გულზე საპასუხოთ მოუთავსებია „წერილი რედაქციის მიმართ“ ამავე გაზეთის № 195-ში.

მე სრულებით ზედმეტათ მიმაჩნია იმ ადგილების ამოწერა, რომელიც მას აქვს ნახმარი, მაგრამ იძულებული ვარ უყურადღებოთ არ დავსტოვო ის ადგილები, რომელიც ასე თუ მშვენიერი ეპიტეტებით აქვს შემკული.

ტ. სალაია თავის წერილში არავითარ ხრიკებს არ ზოგავს და მოჰყავს შემდეგი მაგალითები: ის ამბობს თავის წერილში: „ის ნაცინარია, ნაფტაფარი, ლოთი“ და სხვა ასეთები. [illegible] ხავს [illegible], ნათქვამია და სწორეთ ასეა ტ. სალაიას საქმე. რა შუაშია აქ ზემო მოყვანილი „მარგალიტი“ სიტყვები? მას წამოყენებული ჰქონდა ბრალდება და ის ბრალდება უნდა გაებათილებინა და არა სხვის თავზე [illegible] გადასულიყო.

ამბობთ: „უმუშევარი არავინ იყო და ალ. კოხრეიძემ მსთხოვა და მივეხმარეო“.

უმუშევარი არ იყავით, ეგეც სამართალია? განა უმუშევარი არ არის დ. დ—ძე და ი. ნ—შვილი? თავის გასამართლებლათ ტ. სალაია მოჰყავს ვ. ჯ—ძე და ამბობს თითქოს ვ. ჯ—ძეს ეთქვას: დ. დ-ძეს მუშაობა არ უნდათ საკვირველია ღმერთმანი, განა დ. დ—ძეს ვინმესი [illegible] სწორია? [illegible].

ახლა შევეკითხოთ თვით დ. დ—ძეს, მართლა არ სურს მუშაობა? მაგრამ თქვენისთანების მეოხებით ყოველივე საქმეს ფასი დაცემული აქვს და აბა როგორ უნდა იმუშაოს ისეთმა კაცმა? რომლის ცხოვრება ერთი ორად გაძვირდა. კარგი და პატიოსანი, თუ თქვენ გთხოვათ [illegible] (იქნებ მეგობრულად) ალ. კოხრეიძემ „სასოფლო გაზეთის“ აწყობაში წახმარებოდი, რათ მოატყუე და აწამებდი იმ მცირე წლოვან ბავშს, რომელიც ისიც „კუტაისკაია ვესტნიკზე“ მუშაობს, „შრომის“ აწყობის შემდეგ ქანც გამოლეულ ბავშს 9—10 საათამდის შენს გვერდში ამუშავებდი? ან და რისთვის სთხოვდი კ. ნ—ძეს მოდი დამეხმარე აწყობაშიო?

მაგრამ, ტ. სალაიავ, ასეთი ხრიკებით შენ თვალს ვერ აგვიხვევ. შენი განზრახვა ასეთი იყო: იქნებ „კუტაისკაია ვესტი“ დაიკეტოს და ვაი თუ უმუშევრათ დავრჩეო ამის გამო ამ ორ საქმეს ებღაუჭებოდი. ეს ფაქტია, ფაქტი, ისეთი, რომ ამის გაბათილება არ შეგიძლია.

ნათქვამია, მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერსო და შენის [illegible] თავს ვერავის შეგნებულათ ვერ მოაწონებ.

შენ იმ ობობას როლს ასრულებ, რომელიც ობობაც რამდენიმე ადგილს ქსელს აბავს და ამ ქსელში, ადრე თუ გვიან, ბუზი გაებმება. აი ამ რიგათ აბამ ქსელს სამუშევრის საშოვრათ.

ახლა მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: ნუ თუ დაგავიწყდა, ტ. სალაიავ, როგორი ექსპლოატაციას ეწეოდი „სასოფლო გაზეთის“ აწყობის დროს, როდესაც ორ ასოთ ამწყობს კვირაში სამ ოთხ მანეთს აძლევდი თითოს და შენ კი თოთხმეტი გვერდის შეკვრაში (ვერსკა) (ორი გვერდი თითქმის მზათ იყო) ოთხ ხუთ მანეთს იჯიბავდი? ნუ თუ ამის შემდეგ არ სწითლდები, როდესაც ამბობ—მე ყოველივე ექსპლოატაციის წინააღმდეგი ვარ და ვიქნები კიდეც? მაშ [illegible] ეს ორი ამწყობი და რისთვის შემდეგ ორ მანეთს დებულობდი [illegible] ეს ვითომც არაფერი.

კიდევ ერთი ნამდვილი ფაქტი: როდესაც ქ. ქუთაისში გაზეთი „შრომა“ გამოდიოდა ომის დაწყების დროს, „შრომის“ რედაქციამ დილა-საღამოის დეპეშების გამოცემა დაიწყო და შესაფერ ფასსაც იძლეოდა. ამ დეპეშებზე, სხვათა შორის, მეც მოვხვდი და ვმუშაობდი ზედ. რამოდენიმე ხნის შემდეგ სოფლიდან ჩამოვიდა ტ. სალაია და პირდაპირ მსთხოვა, როგორც უმუშევარი დამეთმო მისთვის ერთი დღე მეც დიდის სიამოვნებით თანხმობა განვაცხადე. მეორე დღეს როდესაც მივედი სამუშაოზე ის უკვე მოსული დამხვდა და მითხრა: მე უკვე ამხანაგობაში შევედი დეპეშების გამოსაცემათ და აწი ეს ადგილი მე მეკუთვნისო.“ რა უფლებით შევიდა ის ამხანაგობაში მე დავტოვე ერთი დღე და განა მე ვერ შევიდოდი მათთან ამხანაგობაში? ამის შემდეგ ტ. სალაია დღეში ოთხ-სამ მანეთს დებულობდა და მე კი უმუშევრათ ქუჩაში დავეხეტებოდი. ამას, მე მგონია, თუ იოტის ოდენა მოქალაქობრივი გამბედაობა აქვს, არც თვითონ დამალავს. ამის შემდეგ შეუძლია მას სთქვას მე არავის ადგილი არ მიმისაკუთრებიაო? ბევრიც რომ სწერო, ბ. სალაიავ, ფაქტი ფაქტათ რჩება. *)

ასოთ-ამწ. ანე—ლი.

---

*) ეს წერილი მე არ მეკუთვნოდა, მაგრამ რადგანაც მე ამოვიცანი ნიშანში იძულებული ვარ ვუპასუხო. ამის შემდეგ ვსთხოვ ამხ. „Аврора“-ს შესაფერი პასუხი გასცეს. **ავტ.**

*) რედაქცია აცხადებს, რომ ამ საგნის შესახებ კამათს ადგილს ვეღარ დაუთმობს თავის ფურცლებზე. **რედ.**

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

და გქონდეს დალაგებული... შე დაბდურო, ჯერ საქმე უნდა და მერე ოცნება. შენ კი სამუშაოს დროს ოცნებაში ალამებ. განა ვერ გატყობ, მთელი დღე ინდოურივით გაბუცებული რო დაიარები... გესმის, შენ გეუბნები შენ! გაჰყვირის უფროსი და თავისს ბანჯგვლიან ხელებს თვალებში გჩრის.

— მე!?. — ხავი ციკანივით.

— დიახ, შენ!...

— აკი ვმუშაობ, რაც ჩემ მშიერ კუჭსა და დამცირებულ ყოფნას შეეფერება. გამიხსენით ხელები, მომეცით იმდენი დრო, რომ თავისუფლათ ვისუნთქო და აბა მაშინ ნახავთ... ლუღლუღებ გაუბედავათ.

— ადე, ადე, აიკრიფე შენი გუდანაბადი. შენისთანა თავისუფალი მოაზრე მოსამსახურე მე არ მჭირია. ვინ მუშა და ვინ მაგისთანა სიტყვები!—ღრიალებს უფროსი—კმაყოფილიც რო არ არის ეს წუწკი!.. ლუკმა მივეცი, სამსახურში ავიყვანე და კიდეც რო ყბედობს!... ადე, დაიკარგე—მეთქი აქედან. კიდევ ვინ არ არის კმაყოფილი თავისს ბედისა?—თვალების ბრიალით ეკითხება გაცოფებული უფროსი შენ ამხანაგებსაც.

— ღმერთმა გვიცოცხლოს შენი თავი, ჩვენო მწყალობელო... რა სათქმელია... თქვენი მეოხებით ვჭამთ ლუკმა პურს... რასა ბრძანებთ... ხავ-ხავებენ თავზარდაცემულნი. თუმცა თითოეული მათგანი შენზე უარესს მდგომარეობაშია...

ამ სიტყვების გაგონებს თვალთ გიბნელდება... გულს გიკლავს ამხანაგების გაუტანლობა. საშინელ მარტოობასა გრძნობ და თავანკარი ჰკუა გეკარგება... ტიტველა ცოლ-შვილი გელანდება... მოვალეები სამართალში მიცემას გიპირებენ თავი გეჭრება ქვეყნათ.

— მეც კმაყოფილი ვარ თქვენი.— ელუღლუღები უფროსს—ღმერთის გეფიცები... მამა არ წამიწყდება... შვილები არ დამეხოცება... თქვენი ღვთის გულისათვის ნუ გამაუბედურებთ. აბა, სად წავიდე... ვის მივმართო?..—ეღრიჯები უფროსს და მზათა ხარ ფეხებში ჩაუვარდე...

— ტო, ტო, ბრატეც! ეგრე უნდა მოიხაროთ თითი ჩემ წინაშე, აი!.. კარგი, ჯერ-ჯერობით მიპატიებია,—ბურტყუნებს უფროსი მოწყალების კილოთი და კაბინეთისაკენ ბრუნდება.

შენც გულ-გახეთქილი ეჯუჯგები ისევ შენ მაგიდას და, გულ-გონება აფორიაქებულს, ვერ გაგიგია: მართლა შეებრალე უფროსს, თუ შენ იმისთვის საჭირო იყავ, როგორც იმის საქმეში უკვე დახელოვნებული, გამოცდილი...

ზიხარ მაგიდასთან ჩვარივით მობღუნძული და მწარე ფიქრები გბორკავენ. რა ხარ შენ? მონა ლუკმა პურისა, უბედური პირუტყვი, რომელსაც თავის დაცვაც კი არ შეუძლიან! ჰფიქრობ და ჰფიქრობ, არტყოთ მარტო, შენი თავის ამარა, ვერავისთვის ვერა შეგიჩივლია რა, ვერა გითქვამს-რა, იღუნძები, იკუნთები ლოკოკინასავით და გაძაღლებულის სიცოცხლის მაინც მოყვარული შენი სულის კალთებს შენის სხეულის სიღრმეში. ხმას აწყვეტინებ გონებასაც, არ გინდა, თეთრი თეთრათ დაინახო და შავი—შავათ... გეშინია, სამწერლო ნივთებსაც კი ყური არ ეგას. სდუმხარ, როგორც სამარე და ხვნეში, როგორც უღელში გაბმული ქედ გადატყავებული ხარი.

—[illegible] დარჩენილა ასეთი სიცოცხლე... დამეხმარენით!... ყვირი შენ.

პასუხათ მოისმის მაძღართა ხარხარი.

რა აცინებთ, თუ იცი?

შენი უმწეობა, შენი... ყველაზე უფრო საზარელი—მარტოობა!... **ია ეგ—ლაძე.**

გაგრა—აფხაზეთი.

ქ. შ. წ. კ. გ. ს. სამტრედიის განყოფილების გამგეობა, უმორჩილესად სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც განყოფილების **კიოსკის ვალი მართებს დაჩქარონ გადახდა,** წინააღმდეგ შემთხვევაში, რადგან ზომებმა არ გასჭრა, გამგეობა იძულებული იქნება, მათი სახელი და გვარი გამოაქვეყნოს გაზეთის ფურცლებზე.
გამგეობა. 3—1.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ქორქოლაძეების
სამკურნალო აბანო.
აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, და ბრუნდება საღამოობით. თ.

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აზნაურის ქ. ბაღახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, საღ. 5—6 საათამდის. 12—11

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილად, აგრეთვე ნარდათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან